საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ოქროპირიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე

თარიღი: 09.07.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის #1/138 განკარგულების საფუძველზე გამოცხადებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესაჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

თამარ ოქროპირიძის

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაცია, მასთან ჩატარებული საჯარო გასაუბრება, ასევე, თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო თუ სამართლებრივი დოკუმენტები. კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის თანახმად, ეფუძნება ამავე კანონის 36[3] მუხლით გათვალისწინებულ მახასიათებლებს, კერძოდ, *პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს; დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას; პიროვნულ და პროფესიულ ქცევას; პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციას; ფინანსურ ვალდებულებას.*
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		<u>**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის**</u> <u>მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი როგორც მოქალაქისა და მოსამართლის პატიოსნება და კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა და ა.შ..</u> მოძიებული ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თამარ ოქროპირიძე სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის მოვალეობებს. მას არ ერიცხება დავალიანება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმები გადახდილი აქვს კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაცვით. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა თავდაჭერილობა და კორექტულობა. თავის მოსაზრებებს აფიქსირდება ღიად და გამჭვირვალედ, ამასთან კორექტულობის სრული დაცვით. რეკომენდატორები კანდიდატის პიროვნული თვისებებიდან გამოარჩევენ თავაზიანობას, გულწრფელობას, პატიოსნებასა და ა.შ.. <u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის**</u> მახასიათებელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს შესწევს დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები კანდიდატს ახასიათებენ როგორც სამართლიან და დამოუკიდებელ პიროვნებას. რაც შეეხება კანდიდატის პოლიტიკურ თუ სხვა ნიშნით მიუკერძოებლობას, მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ თამარ ოქროპირიძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა

		შემომწირველი. ამასთან, საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებელი დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. ამდენად, თამარ ოქროპირიძე შესაძლებელია შეფასდეს პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით მიუკერძოებელ პიროვნებად. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევის</u> მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ თამარ ოქროპირიძე კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობაში გამოირჩევა თავაზიანობით, კორექტულობით. მას ახასიათებს მოსამართლის მაღალი წოდებისათვის შესაფერისი ქცევა და იმიჯი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად თამარ ოქროპირიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. ის სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. რაც შეეხება კანდიდატის მონაწილეობას სამართლებრივ დავებში, მოძიებული ინფორმაციის თანახმად თამარ ოქროპირიძე მხარედ ან დაზარალებულად არ წარმოდგენილა. კანდიდატის <u>პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციასთან</u> დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ მისი რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები თამარ ოქროპირიძეს აფასებენ დადებითად. ისინი მიიჩნევენ, რომ კანდიდატი სრულად აკმყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად. რესპოდენტები გამოარჩევენ კანდიდატის თავმდაბლობას, კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, კორექტულობას, შრომისმოყვარეობას, სამართლიანობას, გულწრფელობას, თავაზიანობას და ა.შ. ამასთან, აღნიშნავენ, რომ

			კანდიდატი დადებითად არის განწყობილი კრიტიკისა და შენიშვნების მიმართ. რეკომენდატორები მიიჩნევენ, რომ კანდიდატს არ ახასიათებს იმგვარი სისუსტე ან ნაკლოვანება, რომელიც ხელს შეუშლიდა მას სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებაში. ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ თამარ ოქროპირიძე კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. მას არ ერიცხება რაიმე სახის დავალიანება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ. მას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და არ უფიქსირდება რაიმე სახის ფინანსური ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების ფაქტი. ამდენად, არ გამოვლენილა ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე.

			აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება საჯარო მოსმენის პროცესში მის მიერ გამოვლენილი სამართლებრივი ნორმების ცოდნა და წარმოდგენილ ნაშრომში სამართლებრივი დასაბუთება. საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. მისი მსჯელობა უმეტესად იყო თანმიმდევრული, დასაბუთებული და დამაჯერებელი. საჯარო მოსმენის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი კარგად ფლობს ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. სამართლის აღნიშნული მიმართულების ფარგლებში დასმულ საკითხებზე კანდიდატის მსჯელობა ძირითადად იყო ამომწურავი და სათანადოდ დასაბუთებული. კანდიდატმა, ასევე, იმსჯელა საქართველოს კონსტიტუციაზე, ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებზე. გასაუბრების პროცესში ნათელი გახდა, რომ კანდიდატი იცნობს ეროვნულ სასამართლო პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. თამარ ოქროპირიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. ის იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	**20**	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ ნაშრომში გამოყენებული სამართლის ნორმების გამოყენების სისწორე, ასევე გამოვლენილი ანალიტიკური აზროვნების უნარი, პროფესიული გამოცდილება და ა.შ..</u> თამარ ოქროპირიძეს აქვს 14-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს 5-წლიან სამოსამართლო საქმიანობას. ამჟამად კანდიდატი არის თბილისის საქალაქო

			სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომის, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ თავის პოზიციებს კანდიდატი აფიქსირებს ნათლად და დასაბუთებულად, რაც გადაწყვეტილებას ანიჭებს დამაჯერებლობას. გადაწყვეტილებაში კანდიდატის მიერ დაფიქსირებული პოზიციის, სამართლებრივი დასაბუთებისა და ნორმების განმარტებების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი.
წერის უნარი	19	**20**	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად მიმაჩნია, რომ მას აქვს აზრის ნათლად და თანმიმდევრულად გადმოცემის, ასევე ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. გადაწყვეტილებაში აზრი დაფიქსირებულია ლოგიკური ჯაჭვის სათანადო დაცვით, დოკუმენტი მკითხველისთვის მარტივად არის აღქმადი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	**15**	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.</u> საჯარო გასაუბრების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი. კანდიდატი საუბრობს დამაჯერებლად, მარტივი და გასაგები ლექსიკით. მან გამოავლინა განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა. კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული. მის აღნიშნულ თვისებებს, ასევე, ხაზს უსვამენ რეკომენდატორები. საჯარო მოსმენის პროცესში კოლეგებთან ურთიერთობისას გამოავლინა თავდაჭერილობა, კორექტულობა და პატივისცემა თანამოსაუბრის მიმართ. კანდიდატის მიერ საპროცესო ვადების დაცვის შესახებ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების გაანალიზებით შესაძლებელია ითქვას, რომ საქმის შესრულებისას კანდიდატი გამოირჩევა გულმოდგინებით, პროდუქტიულობითა და სისწრაფით. მას აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ სასწავლო შეხვედრასა და

			სემინარში. ის აქტიურად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებსა და ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას. ყოველივე აღნიშნული, კი მეტყველებს კანდიდატის თვითგანვითარების უნარზე, სიახლეების მიმართ ღიაობასა და ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესზე. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ოქროპირიძეს გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი.
პროფესიული აქტივობა	3	5	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.</u> მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ კანდიდატი ხშირად ესწრება პროფესიულ შეხვედრებს, საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატმა აღნიშნა, რომ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში. ამჟამად კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, მას არ აქვს მომზადებული სამეცნიერო პუბლიკაციები.
ქულათა ჯამი	92	100	
დასაბუთება	ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა კონკურსში მონაწილე კანდიდატის, თამარ ოქროპირიძის, შეფასება განხორციელდა „საერთო		

	სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის“ 34[2] მუხლის შესაბამისად მოძიებული ინფორმაციის გაანალიზების, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების შესწავლისა და საჯარო მოსმენის პროცესში მის მიერ გამოვლენილი კომპეტენციის, პიროვნული თუ პროფესიული თვისებებისა და უნარ-ჩვევების შეჯამების შედეგად. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლით დადგენილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მივიჩნიე, რომ <u>თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</u>. ხოლო, ამავე კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასების შედეგად მინიჭებულ ქულათა შეჯამებით, თამარ ოქროპირიძის ქულათა ჯამმა შეადგინა 92 ქულა.

სახელი და გვარი: ლევან მიქაბერიძე

ხელმოწერა:

თარიღი: 09.07.2021წ.